განახლებადი ენერგია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად


აპლიკანტი – შპს „აბსო“

სათბურების მინას შეცვლის უნივერსალური სასათბურე ფირი და, განახლებადი ენერგიის გამოყენების გზით, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება იქნება შესაძლებელი. საქართველოში სათბურებში ამ სახის ბიოპროდუქტი არ იწარმოება, მსოფლიოში კი მათზე მოთხოვნა იზრდება. გამოგონება ითვალისწინებს სათბურებში მინის ნაცვლად სასათბურე ფირის ე.წ. „შალის“ გამოყენებას. ის საუკეთესოა მსოფლიოში და წარმოადგენს 5-ფენოვან, 9 კომპონენტიან სპეციალურ შენადნობს, რომელიც დამზადებულია სპეციალური ტექნოლოგიით საქართველოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ უნივერსალური სასათბურე ფირის გამოყენებით გათბობის ხარჯი მცირდება 35-50%-ით, დრო და შრომა იზოგება 70-90%-ით, მუშახელი და მასთან დაკავშირებული ხარჯები – 50-80%-ით, შხამ-ქიმიკატების გამოყენება 80%-ით მცირდება, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ გამოირიცხება. სათბურების მოსავლიანობა იზრდება ორჯერ და, ამავე დროს, შესაძლებელი იქნება ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება. გამოგონება სამეცნიეროს გარდა, ეკონომიკურ შედეგებზეც არის გათვლილი. კომპანიის მიზანია მინიმუმ ორჯერ გაზარდოს სათბურის ფართობი, ხოლო მინიჰესის სიმძლავრე კი აიყვანოს 250 კვტ-მდე, რაც, არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით, შემოსავლების 500 000 ლარამდე, ხოლო ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციის გამოყენებით კი უფრო მეტად გაზრდის საშუალებას იძლევა.

RENEWABLE ENERGY FOR THE PRODUCTION OF AGRICULTURAL PRODUCTS

Applicant – "Abso" Ltd

Greenhouse glass will be replaced with universal plastic glazing, making it possible to produce organic products with the use of renewable energy. There are no greenhouses in Georgia that produce such bio-product, whereas demand is growing throughout the world. The invention envisages use of a greenhouse film for replacing greenhouse glass – material with five layers and 9 components produced by means of a special technology and in view of Gerogia's climatic condition. In practice it has been confirmed that greenhouse glazing decreases cost of heating with 35-50%, saving 70-90% of labor, 50-80% of workforce and related costs, decreases the need to use chemicals with 80% and in some cases, chemicals will no longer be needed. It boosts crop capacity of greenhouses two times. In addition, this will also allow organic production. In addition to scientific the invention will also have economic implications. Purpose of the company is to increase greenhouse area two times, raise capacity of mini hydropower station all the way up to 250 kilowatts, which will make it possible to boost the income from the use of the existing technologies up to GEL 500 000 or more in an event of using the innovation.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
“აბსო”

Limited Liability Company
“ABSO”

საქართველო, თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №15/9 ტელ. (+99532)393659, (+995)99553145 GSM
15/9 Budapeshti St. Tbilisi, Georgia phone: (99532)393659, (+995)99553145 GSM

№ 02 “7” თებერვალი 2013წ.

ქ.თბილისის მთავარ არქიტექტორს

მოსკოვის გამზირის მიმდებარედ გამომიყვეს დაჭაობებული, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელად ქცეული ტერიტორია შედარებით შეღავათიანი პირობებით, რადგან ამ ტერიტორიაზე გამავალი ავარიული კოლექტორები და ტერიტორია შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგე. ბანკიდან მერიის შუამდგომლობით გამოვიტანე 6%-იანი სესხი, სანიაღვრე კოლექტორზე ავაგე მიკრო ჰიდროელექტროსადგური, რომელიც გამოიმუშავებს 100 კილოვატს საათში, მოვაწყვე სათბურები 800მ^2-ზე, გამომყავს ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის ახალი ჯიშები.

საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრმა საერთაშორისო პარტნიორის-გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის მხარდაჭერით 2012 წლის 15 ოქტომბერს გამოაცხადა კონკურსი იმ კომპანიის გამოსავლენად, რომელსაც ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით სურს განახორციელოს კვლევისა და განვითარების ახალი გზები. რომელშიც გავიმარჯვე და გადმოგვეცა გრანტი 20 000 ლარის ოდენობით, რომლითაც უნდა ავაგო დამატებით 600მ^2–ზე სათბური, ხის ძელაკების კონსტრუქცია გადახურული იქნება ფიჭური პოლიკარბონატით. ნებართვის მისაღებად მივმართე არქიტექტურის სამსახურის კონსულტანტებს, რომლებმაც მომთხოვეს დოკუმენტაცია და პროექტი თითქოს საცხოვრებელ კორპუსს ვაშენებდე. ჩვენი სათბური მსუბუქი კონსტრუქციებით და მასალებით იქნება აწყობილი მთლიანი წინა 4.5 ტონას არ აღემატება, რომლის ანალოგი ჯერ საქართველოში არაა. საჭიროების შემთხვევაში სათბურის დაშლა და სხვა ადგილზე გადატანა ერთ დღეშია შესაძლებელი კონსტრუქციების დაუზიანებლად, რაც მთავარია სათბურის აგებით მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყობა.

უმორჩილესად გთხოვთ თუ ამის შესაძლებლობა არსებობს მოგვცეთ სთბურის მოწყობის უფლება პროექტის გაკეთების გარეშე, რათა დროულად დავიწყოთ სამუშაოები და უარი არ ვთქვა გრანტის ათვისებაზე.

დირექტორი: სოსო აბჟანდაძე